

პარლამენტში ნარკოდანაშაურის შესახებ კანონში ცვლილებებს მხარი დაუჭირეს

✘ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს მხარი დაუჭირა.

ცვლილების თანახმად, ნარკოდანაშაურისთვის გასამართლებულ პირებს გარკვეული უფლებები ავტომატურად აღარ შეეზღუდებათ. კერძოდ, საუბარია მართვის მოწმობის, საჯარო სამსახურში დასაქმებისა და იარაღის ტარების 3-წლიანი შეზღუდვის მოხსნაზე. ამ უფლებების შეზღუდვაზე გადაწყვეტილებას მოსამართლე მიიღებს.

ახალი რეგულაციები ძალაში ნარკოპოლიტიკის ახალ კანონპროექტთან ერთად უნდა შევიდეს.

ინიციატორების განმარტებით, მოსამართლეს უნდა მიეცეს უფლება, ინდივიდუალური შემთხვევების მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ პირს შეუზღუდავს თუ არა საჯარო სამსახურში დასაქმების, იარაღის ტარების ან მართვის მოწმობის აღების უფლებას. აქამდე მსგავსი შეზღუდვა ავტომატურად ნარკოდანაშაურისთვის და მოხმარებისთვის დაკავებულ პირს ავტომატურად ეხებოდა და მისი ხანგრძლივობა 3 წელია.

ინიციატორები ცვლილებას იმით ხსნიან, რომ ყოფილ პატიმრებს რესოციადიზაციის მეტი საშუალება უნდა მიეცეთ.

საქართველოს პარლამენტში ნარკოპოლიტიკის რიბერაიზაცია მსჯელობა რამდენჯერმე გადაიღო.